# Programme

September 07 22:00

**ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილები**

**ილიკო სუხიშვილი-სამხატვრო ხელმძღვანელი**
**ნინო სუხიშვილი-დირექტორი**

პროგრამის შესახებ
ქართული ნაციონალური ბალეტის ორსაათიანი პროგრამა მოგვითხრობს ქართველი ხალხის ბრძოლაზე, ტანჯვასა და გმირობაზე. არაჩვეულებრივი კოსტიუმებისა და დიდებული ქორეოგრაფიის საშუალებით იხატება ქართული სულის პორტრეტი. მამაკაცები გვაოგნებენ თავიანთი ტემპერამენტით, ავლენენ რა მებრძოლ და, იმავდროულად, კეთილშობილ ბუნებას; მათი განსაცვიფრებელი უნარების შთამბეჭდავი მაგალითებია ბრუნვები და ხტომები ფეხის წვერებზე, რბილძირიან ტყავის ფეხსაცმელებში, ასევე სუნთქვისშემკვრელი სისწრაფის ბრუნვები ცალ მუხლზე. სცენაზე მოსრიალე გასაოცარი სილამაზის ქალები კი ხიბლავენ მაყურებელს თავიანთი მომაჯადოებელი ცეკვებით. მთელს პროგრამას საქართველოს ისტორია გამოაქვს მაყურებელთა სამსჯავროზე. ქართული სულის თავისებურებები აცვიფრებს მაყურებლებს და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ავსებს მათ გულებს.
ქართული ნაციონალური ბალეტი ყოველთვის ცდილობს ქართული ცეკვის განახლებას. ანსამბლი არ წარმოადგენს ცეკვის მუზეუმს და ის მუდამ იცვლება და ვითარდება. ფოლკლორული თემები (ქორეოგრაფია, მუსიკა) მოდერნიზდება და მათ ემატება კლასიკური ცეკვის ელემენტები. სწორედ ეს აქცევს „სუხიშვილებს“ უნიკალურ და ყველასგან განსხვავებულ ანსამბლად.

**Georgian National Ballet Sukhishvili**

**Iliko Sukhishvili-artistic director**
**Nino Sukhishvili-director**

**Programme Notes**

The two-hour program of the Georgian National Ballet tells the story of the fight, suffering, and heroism of the Georgian people. Fabulous costumes and gorgeous choreography portray the Georgian soul. Men surprise with their temperament and reflect both warlike and noble natures. Impressive examples of their incredible skills include spins and jumps on their toes, booted in soft leather shoes without hard soles, or spins on one knee with a speed that makes one's heart miss a beat. Stunningly beautiful women, floating on the stage, fascinate spectators with their charming dance. The whole program brings the history of Georgia to life for the audience. The peculiarities of the Georgian soul thrill spectators and fill their hearts with unforgettable impressions.
The Georgian National Ballet has always been innovating Georgian dance, recognizing that the company is not a dance museum but should change, evolve, and advance. The folkloric themes (choreography, music) are modernized and infused with classical dance elements. This is what makes the company so unique and different from all the others.

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია
Programme Notes
by Nino Jvania

TSINANDALI FESTIVAL
Aug 31 2024
6TH EDITION Sep 8